ხელშეკრულება N02-112904

შესყიდვა ხორციელდება „შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სახსრებით საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 19.03.2010 წლის N80 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) საფუძველზე.
დაფინანსების წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სახსრები.

ქ. თბილისი 29 ნოემბერი 2011 წ.

ერთის მხრივ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი კვაშილავას სახით და მეორეს მხრივ, შპს „ბელდ-ინვესტი“ (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის ბექა დევდარიანი სახით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისგან დადგენილების დანართი N1-ით გათვალისწინებული საქონლის **N4 - ლაბორატორიული აღჭურვილობა, N51 - მილები, N53 - ფიტინგები, N54 - რკინა-ბეტონის ჭები, N30 ელ.ღილაკები, N111 - დამცავი რელეები, N9 - სამეურნეო საქონელი, N12 - კაბელები, N48 - ურდულები, N52** - მილები კანალიზაციისათვის, N13 - ელ.მავთულები, N18 - **ავტომატური ამომრთველები,** N20 - ელ. **მაგნიტური გამშვებები,** კერძოდ, ქ.ყვარელში ნახეჩის ხევში გასაფილტრ ნედლ წყალში მინარევების რაოდენობის გაზომვისა და სალექარებში ნედლი წყალის ავტომატური მიწოდების სისტემის შეძენა თანმდევი მომსახურებით (მონტაჟი).

1.2 შესასყიდი საქონლისა და თანმდევი მომსახურების აღწერა მოცემულია ხელშეკრულების **დანართი N1-ში,** რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. **ხელშეკრულების ღირებულება**

2.1. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს არაუმეტეს **26 577.14 (ოცდაექვსი ათას ხუთასსამოცდაჩვიდმეტი ლარი და 14 თეთრი)** ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

2.2. ხელშეკრულების ზუსტი ღირებულება გამოითვლება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით.

2.3. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

3. **ანგარიშსწორების წესი**

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად „შემსყიდველი“ ავანსის სახით გადაუხდის „მიმწოდებელს“ სახელშეკრულებო თანხის 50%, ამავე თანხაზე საბანკო გარანტიის (გაცემული საბანკო დაწესებულების მიერ) წარმოდგენიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლისა და გაწეული მომსახურების მიხედვით (წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში ავანსის გათვალისწინებით) ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისა და თანმდევი მომსახურების გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

4.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა პირობებით.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა.

4.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ უფლებამოსილი პირები.

5. **მომსახურების შესრულების პირობები**

მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება თანმდევი მომსახურებით უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2012 წლის 15 თებერვლისა.

6. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისა და თანმდევი მომსახურების გაწევის შემდეგ ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს საქონლის დასახელება, ღირებულება, ხარისხობრივი შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან, ხელშეკრულების რეკვიზიტები, მიღება-ჩაბარების გაფორმების თარიღი და ადგილი.

6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას განახორციელებს კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენელი/წარმომადგენლები.

7. **პასუხისმგებლობა**

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7.3. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. **საქონლის/მომსახურების საგარანტიო პირობები**

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მოწოდებული საქონელი/გაწეული მომსახურება მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში არ გამოავლენს დეფექტს.

8.2 საქონლის/მომსახურების საგარანტიო საერთო ვადა შეადგენს 1 (ერთი) წელს, უნაკლო საქონლის მიწოდების (თანმდევი მომსახურების გაწევის) დღიდან.

8.3 თუ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში საქონლის ექსპლუატაციისას გამოვლინდება დეფექტი ან/და ნაკლი, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინებიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში უზრუნველყოს დეფექტის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.

9. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 15 მარტის ჩათვლით.

10. **ხელშეკრულების შეწყვეტა**

10.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

10.2. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. **ფორს-მაჟორი**

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას , თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. **ხელშეკრულების ენა**

ხელშეკრულება დაწერილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

13. **სადაო საკითხების გადაწყვეტა**

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. **უფლებების გადაცემა**

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

15. **შეტყობინების განხორციელება**

15.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2. შეტყობინება შედის ძალში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. **დამატებითი პირობები**

16.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ორი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" **მის: ქ.თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ.N5** **სს „ლიბერთი ბანკი"** **ცენტრალური ფილიალი** **კოდი: 220101480** **ა/ა N GE77LB0113123325230012** **ს/კ 412670097**	**შპს „ბელდ-ინვესტი"** **მის:ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი მე-15 კმ.** **სს „თიბისი ბანკი" მარჯანიშვილის ფილიალი** **კოდი:TBCBGE22** **ა/ა 107467176** **ს/კ 226517472**
ირაკლი ჯვაშილავა დირექტორი	ბექა დევდარიანი დირექტორი

ყვარელში ნახეჩის ხევში გასაფილტრ ნედლ წყალში მინარევების რაოდენობის გაზომვისა და სალექარებში ნედლი წყალის ავტომატური მიწოდების სისტემის მოწყობა

N	საქონლის დასახელება	გ.ერთ	რაოდენობა	ერთ.ფასი	ჯამი
1	ურდული ელექტრო მართვით, გაღება/დაკეტვის მდგომარეობით დ150მმ 16ატ.	ცალი	2	4 500,00	9 000,00
2	ურდულების მართვის კარადა გერმეტული	ცალი	1	200,00	200,00
3	კაბელი სპილენძის ძარღვით 4X4	გ/მ	200	4,00	800,00
4	საკონტროლო კაბელი სპილენძის ძარღვით 5X1	გ/მ	200	5,00	1 000,00
5	პოლიეთილენის მილი დ20მმ.	გ/მ	100	2,00	200,00
6	პოლიეთილენის მილი დ50მმ. (კაბელის გარსაცმი)	გ/მ	100	3,50	350,00
7	უნაგირი 150/20მმ 16ატ.	ცალი	1	50,00	50,00
8	ბურთულიანი ურდული 20მმ 16ატ.	ცალი	2	10,00	20,00
9	ანალიზატორი ორი სენსორით	ცალი	1	6 800,00	6 800,00
10	შემაერთებელი კაბელი სპეციალური გადამყვანებით	ცალი	1	310,00	310,00
11	სენსორის ჩასამაგრებელი და წყლის მიმღები კამერა პლასმასის გარსაცმით და რეზინის შლანგებით	ცალი	1	250,00	250,00
12	გამავალი საკანალიზაციო მილი დ100მმ.	ცალი	4	7,00	28,00
13	გადამღვრელი ურდულის რკინაბეტონის ჭის მოწყობა	ცალი	1	500,00	500,00
14	მუხლი	ცალი	3	4,00	12,00
15	საკაბელო არხი 25*20	გ/მ	2	4,50	9,00
16	საინდიკაციო ნათურა	ცალი	4	5,00	20,00
17	სამონტაჟო მავთული 0,75მმ	გ/მ	30	1.00	30.00
18	საკაბელო არხი 25*20	გ/მ	2	4,50	9,00
19	შუალედური რელე	ცალი	6	20,00	120,00
20	სამპოზიციანი გადამრთველი 10ა	ცალი	2	50,00	100,00
21	გამანაწილებელი კოლოფი	ცალი	2	50,00	100,00
22	ავტომატური ამომრთველი თბური დაცვით 6ა	ცალი	8	10,00	80,00

23	ელქტრომაგნიტური გამშვები 10ა	ცალი	4	20,00	80,00
24	ფაზების კონტროლის რელე	ცალი	3	70,00	210,00
25	დროის რელე	ცალი	2	70,00	140,00
26	სამონტაჟო ლარტყა	გ/მ	1	5,00	5,00
27	სამონტაჟო სამუშაოები				2100
	ჯამი				22523
	დღგ 18%				**4054.14**
	ჯამი				**26 577.14**

შემსყიდველი:

შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"

დირექტორი

ირაკლი კვაშილავა

მიმწოდებელი:

შპს „ზელდ-ინვესტი"

დირექტორი

ზექა დევდარიანი